მეორე წელიწადი ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 26 მაისი 1916 წ. № 116

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელ [illegible] გვერდზე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ქართული დრამატ. საზოგადოების
გამგეობა
ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დრამ. საზოგ. საპატიო წევრის

თავ. ალექსანდრე ივანეს-ძე
სუმბათაშვილის
პატივსაცემლად
ორშაბათს, 30 მაისს, დილით 12 ს. სახაზინო თეატრში
გაიმართება სამეჯლისო წარმოდგენა
ავტორის თანადასწრებით და მონაწილეობით

ღალატი
ალექ. სუმბათაშვილის 5 მოქ. დრამა.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში დაკლებულ ფასებში
დაწვრილებით აფიშებში

22 მაისს დილით კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა
სტეფანე სვიმონის ძე
ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დამწუხრებული ოჯახი. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 მაისს, კავკავში.

22 მაისს დილით, კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა კავკავის ქართულ სკოლისა და ეკლესიის მოამაგე, დაუვიწყარი
სტეფანე სვიმონის ძე
ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს წევრთ
კავკავის განყოფილება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.
განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, კავკავში.
1—107—1

22 მაისს დილით, კისლოვოდსკში უეცრივ გარდაიცვალა
სტეფანე სვიმონის ძე
ელიაძე
რასაც მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ
კავკავის საურთიერთო ნდობის საზოგადოება
განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, ქ. კავკავში.
3—107—1

ხუთშაბათს, 26 მაისს გარდახდილ იქნება პანაშვიდი პეტრე-პავლეს ფრანგების ეკლესიაში, (ნიკოლოოზის ქ. № 55)
ყოზეფ რებნის
სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს, ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა მარგარიტა კალატოზიშვილის ასული—რებნი.

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126— )

წაღვერში
სადგურის მახლობლად, საუცხოვო ადგილას მჟავე წყლის ახლოს,
ხაჩიძის აგარაკში
მშვენიერ შენობის ზემო სართულში ვიყვან პანსიონერებს მეტად შეღავათიან პირობებით.
10—101—5 პანსიონის გამგე მარიამ ჟვანია.

აბასთუმანი
სასტუმრო „მინერალნია ვოდი“
გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც. სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
(8-163-7) სასტუმროს პატრონნი ჩიკვაიძე და გეგიაძე.

გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია
მერანი
წიგნი I.
გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.
ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.
პრემიაში მოთავსებულია:
1. სანდრო შანშიაშვილი—სალამური.
2. ი. გრიშაშვილი—რა კარგი ხარ...
3. კ. მაყაშვილი—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. ინ-ბანი—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. ს. შანშიაშვილი—ბერდო ზმანია.
6. შიო მღვიმელი—მუდამ სევდიანს.
7. ვ. რუხაძე—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. გ. ქუჩიშვილი—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. ლეო ქიაჩელი—მუხა და ტირიფი.
10. დ. კახრაძე—ღვირლვა.
11. ალ. ყაზბეგი—დარო.
12. ტრ. რამიშვილი—ჭკუა მხიარული.
13. დიმიტრი არაყიშვილი—თავისუფალი მარში (ნოტებზე).
წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო სიდამონ-ერისთავის მიერ.
წიგნში ჩართული 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა
ამით აცხადებს, რომ, მან, თანახმად 1 და 2 მუხ. შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციისა 30 მაისს 1893 წ., საქალაქო თვითმართველობის დებულებისა და უფ. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებისა 16 მარტს ამ წლისა № 361, დაინიშნა
ოზურგეთის მემამულეთა კრება ქალაქის რწმუნებულების (ხმოსნების) ასარჩევად
მომავალ 1916—1920 წ.წ. 20 აგვისტოს ამა 1916 წ.
3—105—2

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
გ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 24 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** დვინის მიდამოებში გერმანელთა იერიშები შევაჩერეთ. 23 მაისს, ღამით, სმორჰონის სამხრეთით გერმანელები მოწინავე თხრილებიდან გამოვიდნენ ჩვენი სამავთულო სიმაგრეების დასაჭერად, მაგრამ ტყვიის მფრქვეველთა და კონტრ-იერიშის შემწეობით უკუ ვაქციეთ. 23 მაისს, კრევოს სამხრეთით გერმანელები სოფ. კოჩონთან უშედეგო იერიშებით წამოვიდნენ. პრიპიატიდან რუმინეთის საზღვრებამდე ჩვენები იმარჯვებენ. დღევანდლამდე დატყვევებულია მოპირდაპირის 480 აფიცერი და 25.000 მეტი მეომარი. გარდა ამისა, 27 ზარბაზანი და 50 ტყვიის მფრქვეველი წამოვიღეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ბაიბურთის და ერძინჯანის მიმართულებით არტილერიის შემწეობით ოსმალნი წინ წამოწევას სცდილობდნენ, მაგრამ ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა იგინი შეაჩერა. 21 მაისს, ჰანეკენთან ახლოს, ბაღდადიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 ვერსის მანძილზე მტერს მოულოდნელად თავს დავესხით.

—

**პარიზი,** 24 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე, ვოდანლუს შუა გერმანელებმა უშედეგო იერიშები მოიტანეს. ვოს სიმაგრესთან ცვლილება არ მომხდარა. გერმანელები სიმაგრეს ზარბაზნებს მედგრად უშენენ.

**ჰავრი,** 23 მაისი. ბელგეთის ცნობა. ბელგეთის ასპარეზზე სიმშვიდეა.

**ლონდონი,** 23 მაისი. შტაბის ცნობა. ზილებეკში მდგომარეობა უცვლელია. ღამემ მშვიდად ჩაიარა. დღეს არტილერია მხნედ მოქმედობს, მოპირდაპირის ლაბუასელზე შემოტევამ მცირე ზიანი მოგვაყენა. მტერმა ნაღმების აფეთქების შემდეგ, მეორედ სცადა არასის სამხრეთ-აღმოსავლეთით წამოსვლა მაგრამ ამაოდ. ინგლი-

სული ჯ?რი კენშის და ფოკიოსარის შუა გერმანელთა თხრილებში შეიჭრა. სანაღმოსნო ბრძოლა განსაკუთრებით ჰიუდომის და ქვენშის შუა გაცხოველდა.

**პარიზი**, 23 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. მაასის აღმოსავლეთით, ვო-დონლუს მიდამოებში, გუშინ ღამით გერმანელებს სასტიკი იერიშები მოჰქონდათ, როგორც ვოს სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ისე ფიუმენის ტყის კალთებზე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ღამე საშინელი ბრძოლა იყო. სხვათა შორის გერმანელები ცეცხლის გამჩენ სითხეს ხმარობდენ. მიუხედავად ყოველი ღონისძიებისა, გერმანელები ვერაფერს გახდნენ.

მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. ვოგეზებში კარსპახის დასავლეთ მიდამოებში მოულოდნელი იერიშებით გერმანელებმა თხრილები წაგვართვეს. მცირე ხნის კონტრ-იერიშის შემდეგ ყველა თხრილები უკანვე დავიბრუნეთ.

**ათინა**, 23 მაისი. მთავრობამ განაცხადა რომ იგი მისდევს იმ პოლიტიკას, რომელსაც დღემდე მისდევდა. გუშინ, ღამით, გენერლების საბჭომ და სკუდულის—დუმანისის კონსტანტინესთან საუბარმა გადასწყვიტა, რომ მაკედონიიდან ჯარები არ გაიყვანონ.

**ბუქარესტი**, 22 მაისი. ბუქარესტიდან იტყობინებიან: მაკენზენი გაემგზავრა ვალანდოფოში, სადაც იმყოფება ბულგარელ-გერმანელთა არმია გენერალ ჰალვიცის ხელმძღვანელობით. გენერალ კუტილჩევის შტაბი, რომელიც დღემდე ბულგარეთის ჩრდილო საზღვრებზე იმყოფებოდა, დღეს ნიშში გადაიყვანეს.

**ათინა**, 22 მაისი. ფრანგ-ინგლისელთა მიერ მაკედონიაში გამოცხადებულმა საალყო წესმა ხალხზე დიდი გავლენა მოახდინა. ბერძენი მინისტრები 4 საათს თათბირობდნენ საპროტესტო ნოტის შედგენაზე. ამბობენ ნოტა მკაცრი კილოთი იქნება დაწერილიო.

**სოლუნი**, 22 მაისი. არზანის ტბის ახლოს, ფრანგთა სანგრებს ზარბაზნებს უშენენ. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. სტრუმისკენ ბულგარელებს წინ არ წაუწევიათ.

**იუანშიკაის გარდაცვალება.**

**პეკინი**. 24 მაისი. დღეს გარდაიცვალა ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იუანშიკაი. პრეზიდენტობის თანამდებობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი ლიუან-ხუანი. პრემიერ-მინისტრად ისევ დუანციჟუ დარჩა. ქალაქში სიწყნარეა.

**კრამარჟის სასჯელი**

**სტოკჰოლმი**. 24 მაისი. ვენიდან იტყობინებიან; კრამარჟს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტესო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

„ნოვ. ვრემია“ ჰსწერს:

როდესაც საფრანგეთის და იტალიის ასპარეზზედ ომმა უკიდურესობამდე მიაღწია, როდესაც სალონიკში ღვივდება ცეცხლი ქარიშხალიან ბრძოლისა, ამ საერთო მოქმედების დროს, რუსეთის ასპარეზი მიყუჩებულია. ალბად ეს სიჩუმე ჭექა-ქუხილის წინამორბედია. ელექტრონით გაივსო ჰაერი და მეხის ტეხა აუცილებელია. ორივე მხარე დიდად ემზადებოდა დიდებული წუთებისთვის, ორივემ თავი მოუყარა მორალურ თუ ნივთიერ მასალას და თუ მოქმედება მალე დაიწყო,—აშკარაა, გაჭიანურდება კიდეც და გარდამწყვეტი მნიშვნელობაც ექნება. თავი საქმე ბრძოლის ველზე გადასწყდება თავგანწირული ბრძოლით.

**დვინის ასპარეზი**

დვინის ასპარეზზე გერმანელები დიდად მოძრაობენ. აკეთებენ თხრილებს, სიმაგრეებს და სხ. როგორც ახლა იტყობინებიან, მათ რკინის გზებიც საჩქაროდ გაჰყავთ. გერმანელი ჯარის-კაცები შეიარაღებულნი არიან ახალი თოფებით. გერმანელები მხრჩოლავ ბოლისთვის ახალ შემადგენლობას ხმარობენ.

**ბულგარელთა მოქმედება**

შვედური გაზეთები იუწყებიან: უკანასკნელი ცნობით, ბულგარელი ჯარები კავალისკენ მიისწრაფიან. როგორც ხმა დადის სერესი უკვე ბულგარელებმა აიღეს, დაჭერილია აგრეთვე დეგირსაპირის ორივე სიმაგრე.

**გერმანელთა სათადარიგო ჯარი**

„Journale de Geneve“-ს სიტყვით გერმანელთა სათადარიგო ჯარი შესდგება: ა) 1916 წლის მთელი შემადგენლობის ნაწილიდან. ბ) განკურნებულ დაჭრილებისა და გ) უვარგის ჯარისკაცებისაგან, რომელნიც ხელმეორედ შემოწმებულ იქმნენ. 1916 წლის შემადგენლობიდან 20.000 კაცი დარჩა, განკურნებულ დაჭრილებიდან 100 ათასი კაცი, რაც შეეხება ხელმეორედ შემოწმებულთ, იგინი ზურგის უკან იმოქმედებენ.

**ოსმალთა ჯარის შევსება**

„Bazeler Nachrichter“-ის ცნობით, 17 მაისს კავკასიის ასპარეზზედ ოსმალებს ავსტრიელთა ახალი არტილერია მოუვიდათ. უკანასკნელ ხანებში ოსმალთა ჯარი შევსებულია ავსტრია-გერმანელ ჯარისკაცებით.

**სერბეთის ბედ-იღბალი**

„Cazetta del Popolo“-მ მოათავსა საუბარი სერბიელ ელჩის რისტიჩთან. რისტიჩმა განაცხადა, სერბიელთა ნახევარი ნაწილი საერთო უბედურობის დროს დაიღუპა; როდესაც ავსტრიას შევეკითხეთ ცნობების გამოსარკვევად მან ესპანეთის ელჩის პირით გვიპასუხა: „ეხლა არავითარი ცნობის მოცემა არ შეგვიძლიანო. ბოლო ხანებში ერთი ბულგარელი გაზეთი აღტაცებით იხსენიებდა სოფიის ეროვნულ წიგნთ-საცავის გამდიდრებას. ეჭვი არაა, რომ გაზეთი ჩვენი ქვეყნიდან გატაცებულს საუნჯეს ჰგულისხმობდა.

დღეს ნაადრევია საუბარი იმაზედ, თუ რა მომავალი ექნება სერბეთს.

**ვერდენთან**

ვერდენთან გერმანელთა მოქმედებამ უკიდურესობამდე მიაღწია.

„Echo de Paris“-ის სამხედრო მიმომხილველი, მარსელ გიუტენი სწერს: არასდროს არ უმოქმედიათ გერმანელებს ისე სასტიკად, როგორც დღეს. არასდროს არ უხმარიათ ასეთი ძლიერი არტილერია და ყუმბარა, არასდროს არ შეჰხვედრიან გამანადგურებელ ცეცხლს ასე თამამად, როგორც დღეს. გერმანელები უკანასკნელად სცდიან ვერდენის აღებას.

**ავსტრია-გერმანელთა მოქმედება**

გაზეთ „Matin“-ი სწერს: ავსტრია-გერმანელები რუსეთის ასპარეზის სამხრეთ ნაწილში დაიწყობენ მოქმედებას. მათი მიზანია დნეპრის ნაყოფიერი მიდამოების და ჩრდილოეთით მდ. დვინის ხაზის დაჭერა.

**ავსტრიელთა მოქმედება.**

ავსტრიელები ჰსცდილობენ, ბრძოლის შეჩერების ხმები გაავრცელონ, თუმცა მათი მოქმედება ტიროლში, რომელიც სამი კვირის წინ დაიწყო,—ისევ გრძელდება. იტალიელების მარცხენა წვერის წინააღმდეგ ავსტრიელების 18 დივიზია ჰმოქმედობს. ჯარის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს მემკვიდრე ერც-ჰერცოგს და სახელოვან გენერალს დანკლიუს. მალე იერიშებს დაიწყებენ, რისთვისაც 2000 ზარბაზანია დადგმული. ტრიესტის მიდამოებში მომქმედი ავსტრიელთა ჯარი იტალიელთა მარჯვენა წვერს ემუქრება.

**ზავის შესახებ**

თემთა პალატაში, სერ არტურ მოტჰემი პრემიერ-მინისტრს შეეკითხა: მზად არიან თუ არა, მოკავშირენი, რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოს საშუალებით საზავო პირობები გერმანეთს შეატყობინოს.

ასკვიტმა უპასუხა: გერმანელ კანცლერის განცხადებაში არა სჩანს ისეთი პირობები, რაიც უზრუნველყოფდა მომავალ მშვიდობიანობას და მოკავშირეთა ინტერესებს.

**იტალიის ასპარეზი.**

„Pester Lloud“-ის სამხედრო მიმომხილველი, რომელიც ავსტრიის შტაბში იმყოფება, ავსტრიის შეტევის თაობაზე სწერს: შეტევა დროებით შეჩერდება, რადგანაც იტალიელებს საუკეთესო სანგრები უჭირავთ და სურსათიც მოიმზადეს. გარდა ამისა ჯარისთვის საჭიროა, ორი კვირის ბრძოლის შემდეგ მცირედ მაინც შეისვენოს.

**პოლონეთის ბედი.**

„Gazette de Lauzanne“ სწერს: გერმანეთში დიდი სჯა-ბაასია, პოლონეთის მომავალზე. ა) უმცირესი სოციალისტებისა, ჰააზეს, ლიბკნეხტის და ლედებურის მეთაურობით პოლონეთის სამეფოს დამოუკიდებლად აღიარებენ. თუმცა პანგერმანელებს ეს მოსაზრება „სასირცხვილოდ“ მიაჩნიათ. ბ) იმპერიის კანცლერის პარტია ამბობს, პოლონეთი უნდა დამოუკიდებელ სახელმწიფო ბუფერად გადიქცეს, ხოლო გერმანეთთან შეკავშირებული და სამხედრო მოქმედებისას თუ ეკონომიურად გერმანეთისაგან დამოკიდებული. გ) ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწენი ამჯობინებენ ავსტრია-გერმანულ კონდომინიუმის დაარსებას. მაშინ გერმანეთი გახდება მისი მბრძანებელი. დ) მრეწველთა ჯგუფებს პოლონეთის მეტოქეობა დიდ საგონებელში აგდებს და სასურველად სცნობენ პოლონეთი ისევ რუსეთს დაუბრუნდეს. ე) ბოლოს, ხალხი, რომელიც პანგერმანელთა აზრს ბრმად ემორჩილება, სრულიად იზიარებს მათ შეხედულებას. პანგერმანელები გერმანეთის დღევანდელ ცხოვრებაში შესამჩნევ როლს თამაშობენ და ისეთ პირებს, როგორებიც არიან: კრონპრინცი, ჰინდენბურგი და ტირპიცი, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ. იგინი მოითხოვენ ლიტვის განაწილებას რუსეთსა და გერმანეთს შორის და პოლონეთისას გერმანეთ-ავსტრიის შორის, რასაკვირველია იმ პირობით, რომ უდიდესი ნაწილი გერმანელებისკენ გადავიდეს. ყველა ზემოხსენებულ მოსაზრებიდან უკანასკნელს ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს.

**საბერძნეთი.**

როგორც „უტრო როსიის“ საკუთარი კორესპონდენტი იუწყება საბერძნეთ-ბულგარეთის შორის, გერმანეთის მთავრობის მეცადინეობით შეთანხმება მომხდარა. ამის გამო ბულგარელებს რასაკვირველია არ გაუჭირდებოდათ რუპელის და დემირ-ჰისარის დაჭერა. ბულგარელ-გერმანელ ჯარებს, დღეს საბერძნეთის მიწა-წყლის დაჭერა ჰსურთ, რაზედაც უკვე შესაფერი თანხმობა გამოაცხადა საბერძნეთის მთავრობამ.

როგორც ირწმუნებიან მოკავშირენი იძულებულ გახდებიან სასტიკი ზომები მიიღონ საბერძნეთის წინააღმდეგ—აშკარა შეთანხმების გამო. მოკავშირეებს შესწევთ ამის ღონე და სამაგიეროს გადახდა ადვილად შეუძლიანთ. მაგალითად, მათ ხელში იმყოფება მოკავშირეთა ფლოტის ბლოკადა საბერძნეთის სანაპიროებზე. ამნაირ შემთხვევაში ორი კვირის შემდეგ, საბერძნეთი უსურსათოდ დარჩება.

მოკავშირეთა მდგომარეობა ბალკანეთზე არ შეცვლილა. საბერძნეთის მთავრობა, იმდენს ვერას უშველის ბულგარელებს. რაც შეეხება ბულგარელთა შესვლას საბერძნეთში ეს მოკავშირეთათვის სრულიად მოულოდნელი არ იყო და წინადვე შესაფერი ზომები მიიღეს. საბერძნეთის მთავარ შტაბის უფროსმა, გენ. ლუსმანისმა, „stokholm Tidende“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბერძნეთ-ბულგარეთის შორის მკვიდრი მეგობრობა დამყარდაო.

როგორც „ბირჟ. ვედ.“ საკუთ. კორესპონდენტი იუწყება დემირსაჰირთან ერთად, ბულგარელებმა ქსანტეს მიდამოებში დიდ ძალას მოუყარეს თავი.

ბულგარელმა მოწინავე ჯარმა მოწინავე სანგრები დაიჭირა დემირ-ჰისარის სადგურიდან 300 ადლის მანძილზე, მოკავშირეთა მოწინავე რაზმები კი ორდიანს მიუახლოვდნენ.

**შვეცია და რუსეთი.**

შვეციის გავლენიანი გაზეთი „Stock. Tind“ ირწმუნება: გაუგებრობა რუსეთსა და შვეციის შორის საბოლოოდ გამორკვეულად და დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო. გაზეთში სწერენ: ომის დაწყებამდე და დაწყების შემდეგაც შვეცია გულწრფელად ჰსურდა რუსეთთან კეთილი განწყობილება დაეცვა. ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა შვეციაში ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ამას წინად ომში ჩარევის მომხრეთა ატეხილი თავშეუკავებელი გულისთქმა.

„ბირჟ. ვედ.“ ამბობს: სრულიად ვერწმუნებით შვეციის გაზეთის განცხადებას, რომ შვეციის ხალხს კარგად ესმის საქმის მდგომარეობა. არც რუსეთს და არც შვეციას ერთმანეთთან ერთგულების რწმუნება არ დასჭირდებოდა, რომ გერმანელების დაქინება არ გვაიძულებდესო.

რაც შეეხება სტოკჰოლმის დეპეშას: შვეციელებს დიდად აღშფოთებს ალანდის საკითხი, სადაც რუსეთმა, წინააღმდეგ ხელშეკრულობის, ციხე-სიმაგრეები ააგო, ისე არ აიყოლებს შვეციელ ხალხს, რომ იმის გულისთვის დასთმონ თავიანთი ტრადიციული ნეიტრალობა და რუსეთს ჩამოეცალნენო.

**გერმანეთის ახალშენები.**

ომის პირველ დაწყებისას გერმანელები ვითომდა ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ახალშენების დაკარგვას, თუმცა ბეტმან ჰოლვეგი აცხადებდა ახალშენების ბედ-იღბალს ბრძოლის ველი გადასწყვეტავსო. ამ ჟამად ეს შეხედულობა შეიცვალა და ახალშენების მინისტრი ზოლფი გერმანეთის აღებ-მიცემობის აყვავებას და გაფართოებას ახალშენების შენარჩუნებაში ხედავს.

ომის დაწყებამდე გერმანეთს რუსეთში გამოჰქონდა 642,700,000 მანე- 1908 წელს რუსეთში გამოტანილი საქონელი 35,8 პროც. უდრიდა, ხოლო 1913 წ. 52,7 პროცენტს. სხვაგან გერმანეთს ამის ნახევარიც არ გაჰქონდა და, რასაკვირველია, გერმანეთი კარგ გუნებაზე ვერ იქნება, რომ ეს გზა მოესპოს.

# ბრძოლის ველზე

ყველა ასპარეზზე ბრძოლის ტერმომეტრმა საგრძნობლად აიწია. მალე მაქსიმუმს აღწევს კიდეც. სათითაოდ აღებული მხარე საგულისხმიეროა, დიდად საინტერესო. საოცარია, რომ ყოველ მხრით უპირატესობა ისევ გერმანელთ ეკუთვნით, გარდა ერთი რუსეთის ფრონტისა, სადაც გამარჯვება ჰხვდათ რუსებს პრიპიატისა და რუმინეთის საზღვრების შუა. ომის ქარცეცხლის გადატანა და განცდა ახლა ინგლისს ატყდება უმთავრესად. საზღვაო ბრძოლის შემდეგ ხმელეთით საგრძნობელ დამარცხებას მოჰყვა უდიდესი და მთელი ინგლისისთვის, მაშასადამე, ყველა მოკავშირეთათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი: ლორდ-კიტჩენერი, ინგლისის იმედი და ომის ღმერთი მთელი თვისი შტაბით დაიღუპა ორკენის კუნძულებთან. მისი ჯავშნოსანი კრეისერი „გემპშაისი“. ჰფიქრობენ ნაღმს წააწყდა, ან და წყალქვეშა ტორპედით დაიღუპა. ლორდ კიტჩენერის დაღუპვამ სამართლიანი დრტვინვა გამოიწვია მთელს ინგლისში. ეს ადვილი გასაგებიცაა. ხალხი, ამბობს დღევანდელი დეპეშა, დატაცებით ყიდულობდა ტელეგრამებს და ჟურნალ-გაზეთებს და ხმის ამოუღებლივ, მწუხარებით კითხულობდა ამ სამგლოვიარო ამბავსაო. ლორდი კიტჩენერი, როგორც სამხედრო პიროვნება დიდად ცნობილია. იგი აღმოსავლეთის კარგი მცოდნე იყო და მიტომაც დარდანელის ოპერაციის დამთავრების შემდეგ მთელს აღმოსავლეთის ფრონტზე ჯართა ხელმძღვანელობა მიანდვეს მას. ვიმეორებთ, ინგლისმა მასში დაჰკარგა, როგორც პოლიტიკოსი—დიპლომატი, იმავე დროს ერთი უდიდესი მხედართაგანი, რომლის მზგავსს ძნელად თუ ვისმეს მონახვენ.

თუ ინგლისის ამ ზოგად და, რა თქმა უნდა, დროებით მძიმე ხვედრს დღესასწაულობს გერმანეთი, მეორე მხარეს, ვერდენთან კრონპრინცის მეთაურობით მათი ცოცხალი ძალები ზედიზედ აწყდებიან გარდაუვალ ციხის ბურჯებს. ამ ჟამად გერმანელებმა მაასის მარცხენა ნაპირიდან ბრძოლის ცენტრი ისევ მარჯვენა ნაპირზე გადიტანეს და ახლა ფორტს ვოს დაუინებით ჩასციებიან. იერიშები თვით ფორტის კალთებზე მოხდა. მეციხოვნეთ ადუღებული სითხით სთუთქავდნენ, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ, თუმცა საარტილერიო სროლა მძვინვარებს და ოდნავ შენელებაზე ფიქრიც კი ნაადრევია. მდგომარეობა ისეთი შეიქნა, თითქოს უმართლდება რუს სამხედრო მიმომხილველს ბ-ნ შუმსკის წინასწარმეტყველება, რომ ვერდენის ოპერაცია ისევ მარჯვენა მხრით უნდა დასრულდეს და არა მარცხენათიო. ეს შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ მაინც ჩვენ იმ აზრს ვადგივართ, რომ ვოს აღება ვერდენის ციხის დაცემას არ გამოიწვევს, და რომ მთავარი იერიშები ისევ დასავლეთით მოხდება, რომ ამით საშვალება მიეცეთ გამარჯვებულთ შამპანში გაჭრა, სასურველ ფინალის მისაღწევად.

საგულისხმიერო ამბები მოიტანა კერძო დეპეშათა სააგენტომ რუსთა გამარჯვების შესახებ. მთავარი შტაბის მოხსენების შესახებ სამხედრო ავტორიტეტებს უთქვამთ: „ყოველი წინასწარი განგაში და სიხარული ნაადრევი და უადგილოა, თუმცა გამარჯვებაში ეჭვი არავის არ შეგვდისო“. ასეთი გულწრფელი აღიარება სამხედრო ავტორიტეტებისა ანალოგიურს ამბავს გვაგონებს გალიციის ეპოპეიდან, როდესაც სწორედ მაგგვარი ლექსით სთქვეს: „ნუ გვიხარიან წინსვლა, რადგანაც ქუხილის მოლოდინში ვართ და გერმანელთა მთავარ ძალებთან შეტაკება ჯერ არ მოგვხდომიაო“. თუ რატომ არ ჰმართებს რუსის ხალხს წინასწარი დღესასწაული ამ დიდ გამარჯვების გამო, ამას სამხედრო ავტორიტეტები შემდეგის ლექსით გვიმარტავენ: „ტყვეთა რიცხვი, მართალია, 13 ათასს აღწევს (ყველა ავსტრიელებია), ჩვენ მომენტით ვისარგებლეთ და მარჯვედ ჩავიგდეთ ხელში ინიციატივა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ რომ ამ ფრონტზე ავსტრიელთ 40 დივიზია ჰყავთ ქვეითა ჯარისა, და ათი კავალერია, ერთი სიტყვით სულ დაახლოვებით 650 ათასი კაცი. მათ შორის ერთი ან ორი დივიზია გერმანელებისა იქნება“. ასეთი ცნობა, მართლაც, საგულისხმიეროა. ვიდრე ეს ცოცხალი ძალა გაუნადგურებულია, „დიდს გამარჯვებაზე“ ყვირილი და დღესასწაული, მართლაც, რომ ნაადრევია.

კავკასიის ასპარეზიდანაც საყურადღებო ამბები მოდის. მამახათუნის დაცემის შემდეგ ოსმალეთი ინიციატივას ხელიდან არ უშვებენ. ახლა აშქალასა და ბაიბურთის მხრით წამოსულან. აქეთ მათ საკმაო ძალებისთვის თავი მოუყრიათ და ბარნაკაბანამდე მოსულან კიდეც.

ბარნაკაბანი აშქალის ჩრდილო-დასავლეთითაა ათი ვერსის დაშორებით, ხოლო აზრუმამდე მთელი მანძილი უდრის 30 ვერსს. ერთი სიტყვით, კავკასიის ასპარეზი ძლიერ საინტერესო გახდა, ოღონდ სამწუხაროა, რომ დაწვრილებით ცნობებს ვერ ვიღებთ, არ ვიცით, რა ხდება, ან რა მდგომარეობაში არიან ტრაპიზონის ამლები გმირნი, ან დიარბექირისა და მოსულისკენ ბრძოლის სურათი რას წარმოადგენს.

იტალეთის მხრით ავსტრიელნი კვლავ წინ მიდიან. ყველა ეს გარემოება დიდს გავლენას ახდენს ნეიტრალ სახელმწიფოთა მდგომარეობაზე. შორს აღარაა ის დრო, როდესაც საბერძნეთიც და რუმინეთიც იტყვიან უკანასკნელ სიტყვას და ბრძოლის ველზე გამოვლენ...

X.

# ბრძოლა ზღვაზე

**ლორდ კიტჩენერის დაღუპვა.**

(პეტ. დეპ. სააგ.)

**ლონდონი**, 24 მაისი. ოფიციალი ცნობა: **ინგლისის საზღვაო მინისტრი ლორდი კიტჩენერი მთელის თავისი შტაბით ჯავშნოსან კრეისერ „გემპშაირ“-ით ორკნეის კუნძულების გასწვრივ დაიღუპა. კრეისერი ან ნაღმს წასწყდომია ან ტორპედისაგან არის დაღუპული. შიშობენ რომ კიტჩენერთან მყოფნი ყველანი დაიღუპნენო.**

**ლონდონი**, 24 მაისი. ოფიც. ცნობა. დღეს, დილის 10 საათზე საადმირალოს მდივანმა დიდი ფლოტის **უფროსისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ულრმესის მწუხარებით გაუწყებთ, რომ მისი უდიდებულესობის გემი „გემპშაირ“-ი, რომელიც კაპიტან სევილლის უფროსობით ზღვაოსნობდა და რომლითაც მიემგზავრებოდა ლორდი კიტჩენერი და მისი შტაბი, გუშინ საღამოს 8 საათზე დაიღუპა ორკნეის კუნძულების დასავლეთით, ან ნაღმს წასცდომია, ან ტორპედა მოჰხვედრია. გემის დაღუპვის მნახველთ ნაპირიდან შეუმჩნევიათ, რომ ამ გემს 4 შლიუბკა (დიდი ნავია) გამოერიდა. მოდარაჯე გემები ამ უბედურების ადგილისაკენ გაეშურნენ. ჯერ იპოვნეს მხოლოდ ერთი ნავი დახოცილი ხალხით. რადგანაც მთელი სანაპიროები ზღვის მხრიდან საგულისგულოდ მოიარეს, ვშიშობ, რომ გემიდან გადარჩენილთა პოვნის იმედი დიდი არ უნდა გვქონდეს. ამჟამად ჯერ არ მიგვიღია მოხსენება ზღვის სანაპიროების დამთვალიერებელ რაზმისა. „გემპშაირ“-ი რუსეთისაკენ მიემართებოდა.**

**ლონდონი**, 24 მაისი. **მოულოდნელმა ტრაღიკულმა ამბავმა ლორდ კიტჩენერის დაღუპვისამ განუსაზღვრელი გავლენა მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზე და თავზარი დასცა მას. საღამოს გაზეთების სასწრაფო ცნობებს ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს და ხმის დაუძვრელად კითხულობდა ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი ხალხი. პრემიერ-მინისტრს ასკვიტს წვეულებაზე ფეხი აღარსად გაუდგამს და სამხედრო თათბირზე თავმჯდომარეობდა. თათბირმა ორ საათს გასტანა.**

—

**ლონდონი**, 22 მაისი. (დაგვიანებულია) ოფიციალი ცნობა ინგლისის საადმირალოსი. ჯერ დაწვრილებითი ცნობები არ არის მიღებული 18 მაისს დაწყებულ და 19 მაისს დამთავრებულ საზღვაო ბრძოლისა. შედეგი უკვე ცნობილია. ინგლისის მთავარი ფლოტი გერმანეთის სთკეანო ფლოტს შეხვდა 18 მაისს ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე. ბრძოლა გაჩაღდა. უმთავრესად იბრძოდნენ ჯავშნიანი კრეისერები, სწრაფი ჯავშნოსნები, და სხვა დამხმარე გემები. ორივე მხარე საგრძნობლად დაზარალდა. სერ ჯონი ჯელიკამ გერმანელების ფლოტს ნავთ-სადგურამდე სდია და შემდეგ გამობრუნდა. 19 მაისს, შუადღისას უკვე ცხადი გახდა, რომ იქ ყოფნა საჭირო აღარ იყო და ფლოტი თავისს ძველ ბინას დაუბრუნდა, ბრძოლის ადგილიდან 400 მილის მანძილზე გვანადაბარის სათადარიგოდ. 20 მაისს ფლოტი კვლავ მზად იყო საომრად. ინგლისის ზარალი უკვე გამოცხადდა, გერმანელების ზარალი-კი ვერას გზით ვერ გამოვარკვიეთ, თუმცა შეკრებილ ცნობებით გერმანელები გაცილებით მეტად დაზარალებულან. თუმცა ინგლისის ზარალი საგრძნობელია. მაგრამ იგი ვერ შეარყევს ინგლისის საზღვაო ძლიერებას. ეს ზარალი შედეგია იმისა, რომ ინგლისის კრეისერთა ესკადრას გადაწყვეტილი ჰქონდა მედგრად გაჰმკლავებოდა ინგლისის მთავარ ფლოტზე ბევრად უფრო ძლიერს მოპირდაპირეს.

**თბილისი, 26 მაისი.**

*სოფელი და ქალაქი.*

მაღლა იწევს ბრძოლის ტერმომეტრი და ცხოვრებაც საშინელს სახეს იღებს. დღითი-დღე იგი აუტანელი ხდება. სოფლად და ქალაქად მდგომარეობა გართულდა, მაქსიმუმს აღწევს გაჭირვების საზღვარი. არავინ იცის, რითი გათავდება, საბოლოოდ რა გამოხატულებას ჰპოვებს იგი, მაგრამ რომ მას კარგი დასასრული არ ექნება, ეს ყოველ ეჭვს გარედა რჩება. და მართლაც: საბოლოოდ ვინღა ან რაღა რჩება მცხოვრებთა საკვებავად? ქალაქი უსოფლოდ ვერ გასძლებს. სოფელი კი ყოველ მხრით განიავებულია. უპატრონობისა და უკაცობისა გამო სოფელი გაპარტახდა. რაც რამ სიკეთე და დოვლათი ჰქონდათ, ყველა ჩამორთმეულია „მტკიცე და დადგენილ ფასების“ მიხედვით. იმ დროს, როდესაც ქალაქში ყოველისფერი განსაცვიფრებელ და ზღაპრულ ფასებში იყიდება, გლეხის ნაწვავ-ნადაგი გროშის ფასად მიდის და რომ არც მოისურვონ გასყიდვა, აიძულებენ. თვით ქალაქის ცხოვრებაც გადასცდა წესიერების საზღვარს. ქალაქის ზოგიერთ ვაჭართა და სპეკულიანტთა თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ ქალაქი ქალაქში შეჰქმნეს, თამამი სახით აშკარად, ყაჩაღურად მძარცველობენ და არავითარი საშუალება არ მოგვეპოვება არც ჩვენ და არც ადგილობრივ მმართველობას, რომ ავლაგმოთ იგინი. გავიხსენოთ თუნდა შაქიამანის ხელოვნური გაძვირება. ფუთი 9—10 თუმანში ასწიეს, როდესაც პირველი პერიოდი დადგა ვაზის წამლობის, გაიარა ამ პერიოდმა და ახლა აქა-იქ ნაწვიმარზე გამოცოცებულ ლოკოკინებსავით ჰხედავთ ვაჭრებისა და ვაჭრუკების ქურქში გახვეულს თვით მოხელეებსაც კი, რომელთაც ას-ასი ფუთი აქვთ ხელთ და 60 მანეთში ტ ნაკლებადაც სიამოვნებით იძლევიან, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მაქსიმუმი მალე მინიმუმამდე ჩამოვა და 25 მანეთშიც კარგად გაჰყიდიან და თავზე საყრელსაც გამოაჩენენ, როდესაც ვაზის წამლობის პერიოდი სულ მთლად გაივლის. აღარას ვიტყვით სანოვაგეზე. ძარცვა-გლეჯა ყოველს დარგში, ყოველ სფეროში. უკანტროლობა. ერთი რამ არის საგულისხმიერო: იმ დროს, როდესაც სოფელს აიძულებენ დაკლებულ ფასებში გაჰყიდონ ნაოფლარი, იმავე ნასყიდს ქალაქის მცხოვრებთა ხელზე ზღაპრული სახით ჰყიდიან. განსაცვიფრებელია, რომ სოფლის ნაამაგარს არა აქვს ფასი და მოითხოვენ ძველებურს ფასში გაიყიდოს ყოველისფერი, ჯარისთვის იქნება ეს თუ ქალაქისთვის, სულ ერთია, ქალაქის ვაჭართა და ნიანგთა შორის არ არსებობს არავითარი მტკიცე დადგენილება, რომ მათგან ქალაქის მცხოვრებლებმა და სოფლელებმა შესძლონ უსაჭიროეს საგნების სყიდვა შესაფერ ფასებში. სოფელი განადგურებისა და მძარცველობის ტალღებმა ჩანთქა. და ეს იმ დროს, როდესაც იგი ისედაც უკაცოდ დარჩა, როდესაც ამდენი ველ-მინდორი უხნავი და დაუთესავია, როდესაც მარჩენელი ვაჟკაცი ცხოვრების საჭის დასაჭერად აღარსადა სჩანს! რა ჰქნას სოფელმა, როდესაც მაზე არა თუ მძარცველთა ურცხვმა ლაშქარმა, თვით ბუნებამაც-კი მოიცალა. დღე არ გავა, რომ კვნესა და ტირილი არ გაისმას დაჭრილ სოფლის გულიდან. დუშეთის მაზრა დაისეტყვა. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მრავლად

მოსდის საზარელი ცნობები, თუ ქართლის საუკეთესო სოფლები, ბედელი ჩვენი ქვეყნისა, სეტყვას და ნიაღვარს როგორ გაუნადგურებია. ტყვიავი, ქიწნისი, ძევერა, დმენისი, სატიხარი, ქვემო ჭალა, რენე, ახალშენი, გამბელის წყარო და სხვა და სხვა,— აი ის სოფლები, რომელთა თავზეც გრგვინვით გადაუვლია სტიქიას. თუ გავიხსენებთ დღევანდელს მდგომარეობას, საზოგადო ჭირს, უნდა დავასკვნათ, რომ ქართველ ერს შიმშილობა მოელის. ქართლის ხილი მთლად განადგურებულია. ნათესის შესახებ ჯერ ცნობები არ მოსულა, მაგრამ ძნელი არ არის დავასკვნათ, ამ მხრივაც საბედნიეროს არას გავიგონებთ. კახეთის ცრემლს ხომ ყური ისე შეეჩვია, რომ დღევანდელი მოთქმა აღარ გვეუცხოვება. შაბიამნის დაგვიანებამ ვაზის ავადმყოფობას შეუწყო ხელი და რა იქნება, რა მოსავალს მისცემს იგი, ალლაჰმა უწყის. მდგომარეობა სერიოზულია. ვინ იცის, ჩვენს საზოგადოებათ და დაწესებულებათ ისე არასოდეს არ სჭირდებოდეთ სიფრთხილე და ფხის გამოჩენა, როგორც დღეს. ეხლავე სიტყვის ადგილას საქმიანობა, თადარიგის დაჭერა და გარჯილობა, თორემ სოფლის დაღუპვას ქალაქისაც მოჰყვება და შიმშილობის ქარცეცხლს ვერ ავიცილებთ თავიდან.

## სალამი სამშობლო მხარეს!..

(საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულის დღიურიდან)

სალამი!.. სულ რამდენიმე წელიწადი და ასეთი ცვლილება! გაშტერებული იცქირები გარშემო, გაოცებული უსმენ ნალაპარაკევს და თითქოს არ გეჯერება თვალით ნახული, არ გერწმუნება ყურით ნასმენი. არ გეჩვენება ეს ყველაფერი, აღარ გეცნობა სამშობლო მხარე; იგი აღარ ჰგავს წინანდელ სურათს. აბა სადღაა თავჩაქინდრული გულ-ჩათხრობილი, სიცოცხლის ძალას გამოლეული ძველი ქართველი, ბატონის წინ რომ ოთხად მოხრილი, უზომო შრომას ეფარებოდა? დღეს იგი უკვე, საკინძ-შეკრული, წელში გაშლილა; მის ფართო მკერდში საგმირო გული თურმე მოძრაობს; კეთილშობილურ სიამაყით მას თავიც და მკლავიც ზე-აღუმართავს; იგი მოძრაობს, იგი მოქმედებს და ჰლამობს ზეცას მოსტაცოს ღვთიური ცეცხლი.

თვით ეს ბუნება. სამოთხის დარი სწორ უპოვარი ტურფა ბუნება, ნაღველს აღარ გვბერს, სევდას არ გვიშლის, ახლა სხვა გვარად გვეალერსება; ნახნავნი, ველნი, მინდორნი, ტყენი ახლა სხვა გვარად იცქირებიან, ახლა სხვა ჰანგზე, სხვაფრივ აწყობენ და აღელვებენ სულის სიმებსა. აგერა ჩვენი ალაზნის ველი, ჭირნახულებით აჭრელებული, წინათ რომ გუჯრებს მოგვაგონებდა, სად ცრემლით, ოფლით და სისხლით ჩვენი მუშაკის ტანჯვა-ვაება, უიმედობა და ბედ-შაობა აღბეჭდილიყო; დღეს სულ სხვა გვარად მიმოიცქერის, სულ სხვ- სიოსა მიმოაქროლებს. კავკასიის მთები, ბუმბერაზებად ცისა სივრცეში ამოზიდულნი, წინათ რომ მწუხრათ გვიდარაჯებდნენ არ ჩამქრალიყო ქართველის კერა! თითქოს შეკრულნი და შებოჭილნი, გრძნეულ ძალთაგან, უძრავად მდგომნი, ვეღარ ხედავენ სიცოცხლის ტალღას, და ვერც არჩევდნენ თვით მაჯის ცემას. ყინვით ნაკვეთი იმათი თავი შავ-ბნელ აჩრდილებს დაემონავათ; იქ, იმათ ქედზე მძიმე ტრაგიზმით აღსავსე სურათს ჩვენ განვსჭვრეტავდით. ამირან-გმირი მწარე ბედისგან უძრავ ბორკილით მიჯაჭულიყო და იმის გულღვიძლს ჰგლეჯდა, სწიწკნიდა გაფთრებული შავი არწივი.

დღეს თუ კვლავ ვხედავთ იქ ამირანსა იგი სულ სხვა გვარ სურათს გვიჩვენებს; მას ცალი მკლავი ბორკილებიდან ამოუღია და შესდგომია სამარადისოდ მილეწ-მოლეწოს მონობის ჯაჭვი. კავკასიის მთებიც ოქროს ტახტს სჭედენ, რომ სათანადოდ მიეგებნენ განთიადის ცხოველ სხივებსა. და ეს სპეტაკი, ნარნარი, ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, მისტერიულ მნათობთ სავანე, სად ბადრი მთვარე მხოლოდ კაეშანს ამოძრავებდა და მხოლოდ ცრემლებს ლოცვად იღებდა, დღეს თვითონ ზეცას ნირი ეცვალა, იგი პირქუშად აღარ დაგვყურებს, დღესასწაულებრ შუბლ გადაშლილია, მას თავის ქნარზე თავისუფლების სიმი გაუბამს და ღვთიურ გრძნობით მგზნებარ თითებით ციურ მუსიკას ციურად აღერს: „ბრძოლა... გამარჯვება... სიცოცხლე... სიყვარული. სიყვარული“!

ჰოი, სამშობლოვ, მარად ტანჯულო ნუ თუ ჩამოჰკრა ჟამმა ნეტარმა და ველირსებით შენს აღდგომასა? ნუ თუ ჩვენსკენაც გადმოიხედა და მოგვიგონა ისტორიამ? ნუ თუ ყველა ეს სინამდვილეა და არა სიზმრად მოვლინებული?.. ჰაი, ჰაი, რომ სინამდვილეა! სიზრმების შინჯვა, ლაჩარი ნატვრა, ფუჭი ოცნება გულ-გამეხებულ შენს შვილი შვილებს წარსულისათვის გადუტყორცნიათ; ცხოველი სიტყვა, ნამდვილი საქმე შენს უბე-კალთას აღუმართნიათ და ახალ დროის, ახალ აბჯარში დარაზმულები საკაცობრიო ბრძოლას შებმიან, ლომებრ მამაცნი მედგრად, უშიშრად წინ მიიწევენ, ისწრაფვიან, რომ გამოაღონ შრომის სუფევის პირველი კარი. იმათი საქმე, მათი გმირობა შორით-შორამდე ამბად წასულა; ზღვა ხმელეთს იქით განათლებული კაცობრიობა აღტაცებული შენ შემოგცქერის, დიად საუკუნის დიდებულ დროშას შენკენა ჰხრიან, სალამს გაძლევენ და გამხნევებენ; ძირს არ დაუშვა გმირული მკლავი, შენვე ჩამოჰკა გამარჯვებისა მეჯლისის ზარი. ისტორიკოსი-მეცნიერები მსოფლიო წიგნში შენ გიმზადებენ ოქროს ფურცლებსა და უცხოეთის პოეტს-რომანისტს ახლა შენ აძლევ ზე-შთაგონებას.

ჩვენო სამშობლოვ, ჩვენო ღვთაებავ! მუხლ მოდრეკილი შენს წინა ვდგევარ და სასოებით, კრძალულებითა სალამს მოგიძღვნი, გეთაყვანები. მინდა შეგთხოვო, ნება მიბოძო, რომ ვეამბორო სისხლით დაღარულ შენს გმირულ მკერდსა, გადაგეხვიო, გულში ჩაგეკრა და სიხარულისს ცრემლი ვაფრქვიო!..

ლ. დარჩიაშვილი.

„ივერია“ № 147, 1905 წ.

## დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

დვინსკის მიდამოებში გერმანელებმა უშედეგო იერიშები მიიტანეს.

—

პრიპიატზე რუმინეთის საზღვრამდე რუსები იმარჯვებენ.

—

ბაიბურთის და ერძინჯანის მიმართულებით ოსმალთა იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა.

—

ჰანეკენთან რუსები თავს დაესხნენ ოსმალთ.

—

გერმანელები დუომონის სიმაგრეს ზარბაზნებს მედგრად უშენენ.

—

მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა.

—

ვოგეზებში ფრანგებმა წართმეული თხრილები უკანვე დაიბრუნეს.

—

სოლუნში არზანის ტბასთან საარტილერიო ბრძოლაა.

—

გილიუმის და ქივანშის შუა სანაღმოსნო ბრძოლა გაცხოველდა.

—

ინგლისის საზღვაო მინისტრი ლორდი კიტჩინერი და მისი შტაბი ზღვაში დაიღუპა. ამ ამბავმა ინგლისის საზოგადოებას თავზარი დასცა.

—

24 მაისს ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იუანშიკაი გარდაიცვალა.

—

საბერძნეთის მთავრობა ათინაში საალყო წესებს აცხადებს.

—

პრემიერ მინისტრი სკუდულისი ვენიზელოსს დატყვევებას უპირებს.

—

ამბობენ: მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადადგომას აპირებსო.

## შაბიამანის საქმე

დეპეშა

თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა ოდესიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

კახეთის კოოპერატივებმა მარტში დატვირთეს ჩირკოვიჩის გემი „დიმუჩი“ ორი ათასი ფუთი შაბიამნით. ადესაში გემი დაბანდებულია. სეზონი მიდის. გლეხკაცობა დრტვინავს და საყვედურით გვავსებს. გთხოვთ შუამდგომლობა აღძრათ კავკასიის მეფის ნაცვლის წინაშე, რათა კეთილ ინებოს და დეპეშით მოახდინოს განკარგულება, რომ რიგს გარეშე დაგვეთმოს გემი და ვაგონები თბილისამდე.

ძველი გავაზის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ყიფიანი.

ადესა, „საერთაშორისო სასტუმრო“.

# გაზ. „საქართველო“-ს კანტორისაგან

## საჭიროა გაზეთის აგენტები

ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებში. მსურველთ მიჰმართონ „საქართველოს“ კანტორას (თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. სახლი გაბაშვილისა)

## ახალი ამბავი

**უმაღლესი დეპეშა.** მათ იმპერატორობით უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი საპასუხო დეპეშა გამოუგზავნა ქუთაისის გუბერნიის თ-დ-აზნაურობის წინამძღოლს თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს:

**„გულითად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის ერთგულ თავად-აზნაურობას ლოცვისა ერთგულებისათვის და თავგანწირვისთვის ძვირფას სამშობლოს სასამსახუროდ**

**ნიკოლოზ“.**

**სამხედრო ტაძარში** გუშინ ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღეს საქართველოს ექსახორსმა, ქალაქის სამღვდელოების მონაწილეობით გადაიხადა წირვა და სამადლობელი პარაკლისი, დაესწრნენ მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უმაღლესის ოჯახით და ამალით წარმომადგენელნი მთავრობისა, თ-დ აზნაურობისა და მრავალი მლოცველნი.

**✦ მეფის ნაცვლის დეპეშა.** მათ უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის გუბერნიის თ დ აზნაურობის წინამძღოლს თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს.

„გულითად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მოსალმებისა და სურვილებისთვის, რომელთაც ღრმად მასიამოვნა. ძლიერ მიხარის რომ ქართველი თავად-აზნაურობა მთლიანად იზიარებს იმ აზრს, რომ საჭიროა კავკასიის ყველა ეროვნებათა დამოკიდებულებათა განმტკიცება, კავკასიის ყველა შემოქმედებით ძალების გასაფურჩქნად და საკეთილდღეოდ ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა. სულით და გულით ვუსურვებ მორიგ თავად-აზნაურობის კრებას კეთილად დაებოლოებინოს ამ კრებაზე წამოყენებული ყველა საკითხები.

**გენერალ ადიუტანტი ნიკოლოზ“.**

**✦ სასახლეში.** თბილისში ჩამობრძანდა მათი უმაღლესობა თავადი სერგეი გიორგის ძე რომანოვსკი ჰერცოგი ლეიხტენბურგელი. სადგურზე მათ უმაღლესობას შეხვდნენ მათი უმაღლესობა მეფის ნაცვლის მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული, დიდი მთავარი რომან პეტრეს ძე, კნიაჟნა ნადეჟდა პეტრეს ასული, კნიაჟნა ელენე გიორგის ასული რომანოვსკისა, ჰერცოგინია ლეიხტენბურგისა.

**✦ წარმოდგენებისა და ზეიმის გადადება.** რადგან კვირას, 29 მაისს, იწყება თავად-აზნაურთა წლიური მორიგი კრება, ამიტომ თავად-აზნაურთა თხოვნით წარმოდგენა „ლალატი“-სა და ზეიმი გადაიდვა ორშაბათისათვის (30 მაისი, დღის 12 საათი).

**✦ ქართული თეატრი.** 7 თიბათვეს დამთავრდება სეზონი ქართული წარმოდგენებისა. ამ დღეს სახალხო სახლში, ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მარგარიტა გოტიე“.

**✦ ქ-ნ ნინო ჩხეიძისაგან** დეპეშა მიიღო დრამატიულმა საზოგადოებამ, რომ ის მონაწილეობას მიიღებს „ლალატის“ წარმოდგენაში და შეასრულებს ზეინაბის როლს.

**✦ ქალაქთა კავშირი** დეპეშით სთხოვს მთავარ კომიტეტს მიმდინარე ხარჯებისთვის 50 ათას მანეთს.

**✦ ებრაელთა დღესასწაული.** გუშინ საღამოს 7 ნახევარ საათზე ებრაელთა დიდ თორაში გადახდილ იქმნა „შევუესის“ დღესასწაული. რაბინ მარკუსმა იქ შეკრებილთ მგრძნობიერ სიტყვით მიმართა.

**✦ ქართ. კულტ. მოყვარ.** საზოგადოების გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე გადასწყვიტა მოწვეულ იქმნეს კვირას, 29 მაისს, საღამოთი სათათბიროდ ქართველი ექიმები და სპეციალისტები აგარაკის ტიპისა, ალაგის და სხვა დეტალების გამოსარკვევად. საზოგადოების ხაზინადარი ბ-ნი ზურაბ გველესიანი ბორჯომში გაემგზავრა, საცა ბორჯომის საუფლისწულო მამულების გამგესთან გამართავს საბოლოო მოლაპარაკებას ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის საჭირო მიწის დათმობის შესახებ.

**✦ ირაკლი ჯაბადრის ნაწარმოები.** საზღვარ გარედ უკვე ცნობილ პიანისტს და პარიზის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებულ ირაკლი ალექსანდრეს ძე ჯაბადარს ქ. ლოზანაში გამოუცია ძვირფასად ქართულ ენაზე თვის ნაწარმოების ოთხი რომანსი: 1) „სული ობოლი“—ბარათაშვილისა, 2) „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“—ილიასი, 3) „ვაი მას“—ილიასი და 4) „სატრფო“—ილიასი.

**✦ საზეიმო ნადიმი თ-დ ალ. სუმბათაშვილის პატივსაცემად** ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ სამშაბათს 24 მაისს თ-დ ალექსანდრე სუმბათაშვილს თვისს ბინაზე გაუმართა ნადიმი. ნადიმს დაესწრო რჩეული ქართველობა. მოწვეულ იქმნენ თავად აზნაურთა წინამძღოლნი და დეპუტატნი, ქართულ საკულტურო განმანათლებელ საზოგადოებათა თავმჯდომარენი, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ქართულ პრესის წარმომადგენელნი და სხ. ნადიმზე მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა. ყველანი დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. ნადიმმა დილის მერვე საათამდე გასტანა.

**✦ სანერგეების დათვალიერება.** გუშინ, 25 მაისს, კახეთს გაემგზავრა ნიკიტის მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლებლის დირექტორად ნამყოფი, აწ სამეცნიერო კომიტეტის წევრი ნ. ფ. შჩერბაკოვი, რომელსაც თან გაჰყვნენ მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის უფროსი სპეციალისტი ვ. ი. რცხილაძე. ბ-ნი შჩერბაკოვი დაათვალიერებს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისა და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ამერიკულ ვაზების სანერგეებს ჩუმლაყსა, კონდოლსა და იყალთოში, და აგრეთვე საუფლისწულო ვენახებს წინანდალში.

**✦ სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების** საორგანიზაციო ბიურომ ქაღალდი მიიღო ქალაქის გამგეობისაგან. გამგეობა ატყობინებს ბიუროს, რომ 5-დან 10 თიბათვემდე ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი სავსებით დათმობილი აქვთ აღნიშნულ საზოგადოების დამფუძნებელ კრების მონაწილეთო. ამასთანავე გამგეობა ატყობინებს ბიუროს, რომ კრების წევრებთ საგანგებო ნიშნები მიეცემათ ტრამვაის ვაგონებით უსასყიდლოდ მიმოსვლის შესახებო. ბიურომ გადასწყვიტა 200 მასწავლებელს სახალხო სახლში მიუჩინოს ბინა.

**✦ შემოსავალი სახალხო სეირნობიდან.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ 22 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა სახალხო სეირნობამ ლატარია-ალეგრით შემოიტანა 3.809 მან. 70 კაპ. ხარჯები ჯერ არ არის ნაანგარიშევი, მაგრამ ფიქრობენ, რომ 600 მანეთს არ გადააჭარბებს.

**✦ წლიური მორიგი კრება.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა მოიწვიოს წლიური კრება საზოგადოების წევრთა შემდეგ კვირას. 5 თიბათვეს. კრებამ უნდა განიხილოს წარსულ წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა და უნდა აირჩიოს მდივანი და ხაზინადარი ნაცვლად ვ. ი. რცხილაძისა და ლ. ნ. დიასამიძისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ და ხელახლა კენჭს აღარ იყრიან.

**✦ მოგების განაწილება.** თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს დარჩა წმინდა მოგება 1915 წ. 582,462 მან. 27 კაპეიკი. ამ ფულიდან 165,531 მან. 62 კაპ. გადაიდვა სხვა და სხვა სავალდებულო ხარჯების დასაფარავად; დანარჩენი 416,930 მან. 65 კაპ. ასე განაწილდა: 1) 211,022 მ. 83 კ., დამატებითი გადასახადის გამოურიცხავად, თბილისის გუბერნიის მემამულეთა და სოფლის მეურნეთა საჭიროების თანხის გასაძლიერებლად; 2) 55,177 მან. 22 კაპ., დამატებითი გადასახადის გამორიცხვით, მოკლე ვადიან სესხის თანხის გასაძლიერებლად; 3) 30,146 მან. 12 კაპ., დამატებითი გადასახადის გამოუკლებლად, სახელდახელო თანხის გასაძლიერებლად; 4) 60.292 მან. 24 კაპ., დამატებითი გადასახადის გამოუკლებლად, სასოფლო სამეურნეო თანხის დასაარსებლად; 5) 30.146 მან. 12 კ., დამატებითი გადასახადის გამოუკლებლად, ბანკის თავმჯდომარისა და დირექტორების სასარგებლოდ და 6) 30.146 მ. 12 კაპ., დამატებითი გადასახადის გამოუკლებლათ, ბანკის მოსამსახურეთა და დამფასებელ კომისიის წევრთა სასარგებლოდ.

**✦ დეპუტატებათ სახალხო უმაღლეს სასამართლოში.** მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი პირნი დაამტკიცა 3 წლის ვადით ბათომის სახალხო სასამართლოში: ს. სალორეთის მცხოვრები ყადირ ეფენდი, მუფტი-ზადე ლორთქიფანიძე, კანდიდატათ ს. ჩაქვის მცხოვრები ნური ბეგ ბეჟანიძე; ართვინის საოლქო სიტყვიერ სასამართლოში: ს. ქარსნის მცხოვრები მაჰლუმ ალა-არიფ-ოღლი ბაკურიძე; ქვეითა აჭარის სასამართლოში: ს. ალიქის მცხოვრები მამედ-ბეგ შერვაშიძე, სოფ. მუხუნცენის მცხოვრები ოსმან-ბეგ რეჯიბ-ბეგ თავდგირიძე და ს. ქედის მცხოვრები ასან ალა-ეფენდი-ოღლი ბესელიძე, ხოლო კანდიდატებად ს. მეძებნას მცხოვრები ყადირ-ალა დუმბაძე და ს. ღულების მცხოვრები ულფან-ალა-ხაჯი ოღლი დიასამიძე; კინტრიშის სასამართლოში ს. მახინჯაურის მცხოვრები ბექირ-ალა მეგრელიძე და ხაჯი იუსუფ გოგიტიძე, კანდიდატებათ ს. აჩქვის თავის მცხოვრები ალი-ალა ზოიძე, ს. ლელვას მცხოვრები ხურშუდ ალა მჟავანაძე და ახმედ-ალა წილოსანი; ზემო აჭარის სასამართლოში: ს. ყადის მცხოვრები შაიალა ბოლქვაძე და კანდიდატათ ს. ნენიას მცხოვრები ჯაფარ-ალა მიქელაძე.

**✦ გრამაფონის ნემსები.** გენ.-ღ. ვოლსკიმ გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი გრამოფონებით მოვაჭრე ფირმების საყურადღებოთ. ამ დადგენილების ძალით ამ ფირმებს პოლიციის ნება დაურთველად ნება არა აქვთ გაჰყიდონ როგორც ძველი ისე ახალი, ნემსები გრამოფონების ფირფიტებისთვის. პოლიციის ნებართვა არ სჭირდება მხოლოდ მაშინ, თუ ცოტა ნემსებს შინაურ საჭიროებისთვის იყიდის ვინმე. დანარჩენ შემთხვევაში მოვაჭრენი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ პირველსავე მოთხოვნაზე აცნობონ პოლიციას რამდენი აქვს თვითეულ მათგანს ეს საქონელი და რაოდენობა გაყიდულ ნემსებისა. დამნაშავენი ამ დადგენილების დარღვევაში 3000 მანეთით დაჯარიმდებიან ან 3 თვით ციხით.

**✦ აკაკის დილა.** კვირას, 29 მაისს, დღის 1 საათზე, სახალხო სახლში გაიმართება აკაკის ხსოვნის პატივსაცემლად სამაისო დილა. წარმოდგენილ იქნება „პატარა კახიდან“ მე-5 მოქმედება; დაიდგმება ცოცხალი სურათი აკაკისა. საკონცერტო განყოფილებაში იმღერებს იოსებ გოძიაშვილის მიერ შემდგარი გუნდი; დასასრულ გაიმართება მეჯლისი დაფით, დაირით და ნაღარით. დილაში მონაწილეობას ღებულობენ ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალები. ეს დილა უნდა გამართულიყო 8 მაისს, მაგრამ მგოსან ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო გადაიდვა.

**✦ წერა-კითხვის საზოგადოება.** 24 მაისს საზოგადოების გამგეობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სტ. ს. ელიაძის ხსოვნას და მიანდო გამგეობის თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულის ჭირისუფლებს და საზოგადოების კავკავის განყოფილებას, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდა განსვენებული.

შემდეგ გამგეობამ დაადგინა. რომ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელიც 30 მაისისთვის იყო დანიშნული განყოფილებათათვის ინსტრუქციის განსახილველად, გადაიდვას შემდეგისათვის, რადგან პროექტი განსახილველ ინსტრუქციისა ჯერ მზად არ არის. შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია იაკ. გოგებაშვილის „დედა-ენის“ გამოცემის შესახებ და დაადგინა,—„დედა-ენის“ მე-2 ნაწილს მოემატოს ფასი ერთი შაური.

**✦ შოფერების თავგასულობას** ბოლო არ ეღება 24 მაისს ხუთი საზარელი სცენა დატრიალდა მათი წყალობით: 1) შუადღისას სახაზინო თეატრთან სამხედრო ავტომობილმა ქვეშ მოიყოლა მოხუცი ქალი, რომელიც ცოცხალ მკვდარი წაიყვანეს საავადმყოფოში 2) მიხეილის პროსპექტზე სამხედრო ავტომობილი აფიცერის ხელმძღვანელობით საფოსტო ბოძს დაეჯახა და აფიცერი დაშავდა. 3) მიხეილის პროსპექტზე ავტომობილი № 130 ტელეფონის ბოძს დაეჯახა და წააქცია. ავტომობილი დაიმსხვრა, შოფერი გადარჩა; 4) საბარგო ავტომობილი ვაგზლის ვიწრო ქუჩის კედელს დაეჯახა და დაშავდა; [illegible] ავტომობილი [illegible] ეჯახა ბოძს და ავტომობილი დაშავდა, შოფერი გადარჩა. ერთი სიტყვით შოფერები ყოველ კანონ გარეშე გრძნობენ თავს.

**შეცდომის გასწორება.**

კავკავიდან მიღებულ დეპეშის ქვეშ უნდა ყოფილიყო კიკნაძე და არა ქინქლაძე როგორც დაბეჭდილი იყო.

## კომისია ირლანდიის საქმეთა გამოსარკვევად

ირლანდიის საქმეთა გამომრკვეველი კომისია მატიუ ნატანის შეკითხვის შემდეგ ირლანდიის საქმეთა მდივნად ნამყოფს შეეკითხა. მისმა ცნობებმა ნათელი მოჰფინეს დუბლინის ამბოხების ზოგიერთ გაუგებრობას.

ბირელი სცდილობდა „სინნ-ფეინერელთა“ მოძრაობის დახასიათებას ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში—ის, რასაც სინფეინერობას ვეძახით, არის ნაშთი ირლანდიელთა სიძულვილისა ინგლისისადმი. იგი გამოჰხატავს ერთგვარ უნდობლობას, ყველა ინგლისურისადმი. ბირელი ამტკიცებდა, სამიწო და სხვა რეფორმები რომ 50 წლით ადრე შემოღებულიყო ირლანდიაში დღეს, სინფეინერთა ჯგუფის ნატამალიც კი არ იქნებოდაო.

უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ირლანდიის ცხოვრება საკმაოდ შეიცვალა. შემოღებულ იქმნა თვითმართველობა დამყარებული დემოკრატიულ საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ მემამულეთა და მუშათა მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო, სინფეინერთა რიცხვი უფრო მრავლდებოდა და რევოლიუციონურ მოძრაობიდან თანისთანობით კულტურულ მოძრაობად იცვლებოდა. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, ირლანდიის ლიტერატურას და თეატრს ოქროს ხანა დაუდგა. ეროვნულ თვითშეგნებამ ღრმად გაიდგა ფესვები და ირლანდიის დამოუკიდებლობის მოტრფიალენიც მალე გამოჩნდნენ. საინტერესოა, რომ ირლანდიის ამბოხება, მიუხედავად ეროვნულ გრძნობათა აღფრთოვანებისა, არ იყო ქარტეხილიანი. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ომმა დიდი ცვლილება მოახდინა. ბირელს დიდად სასიამოდ მიაჩნია, რომ ჰომრული ომამდე იქმნა მიღებული. ასე რომ არა ყოფილიყო, ირლანდიის ამბები უფრო სერიოზულ ხასიათისა იქნებოდა. ბირელმა დიდის ქებით მოიხსენია ის 50,000 ირლანდიელი მოხალისენი რომელთაც ინგლისისადმი ერთგულობა გამოიჩინეს. მაგრამ რჩებოდა კიდევ უმცირესობა... ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ირლანდიელებზე, ომის გაგრძელებამ. ირლანდიელები გულის ცემით მოელოდნენ გერმანელთა გადმოსხმას ირლანდიაში. ეს მოლოდინი უფრო ძლიერდებოდა, როდესაც ინგლისში გერმანელი მფრინავები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მოხალისეთა გაძლიერებასთან ერთად ძლიერდებოდა სენ-ფეინერთა ჯგუფიც. ნება მოგვეცით, თავი ჩვენი, ჩვენვე გვეყუდნოს, რადგან ჩვენ უბედურებად ჩავითვლებით, სანამ ჩვენ საქმეში ჩვენვე არ დავტრიალდებით“.—ამბობენ იგინი.

თავმჯდომარემ, ბირელს საუბარი შეაწყვეტინა და შეეკითხა,—ფიქრობთ რომ იგინი ბედნიერები იქნებოდნენ? ბირელმა უპასუხა:—ნუ თუ კაცობრიობა როდისმე ბედნიერია?

— ორი წლის წინად, გააგრძელა ბირელმა საუბარი,—შევიგნე, რომ ირლანდიელთა მოძრაობა მეტად მწვავე ხასიათს იღებდა. მე არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი რედმონდის განცხადებას, რომ სინფეინერები „quantité negligeable“-ს წარმოადგენენ. ბირელი ირლანდიელ ლიდერებსაც მოელაპარაკა, მაგრამ გადასწყვიტა საქმეში „არ ჩარეულიყო“. ბირელმა ყოველივე იცოდა თუ რა ხდებოდა ირლანდიაში გარდა დუბლინისა. ჯერ კიდევ 16 აპრილს, მოვიდა პირველი ცნობა. ამბობენ, რომ მოსულა გერმანეთის გემი და გადმოუცლია იარაღი, სურსათი თუ სხვა. დაჟინებით მოითხოვდნენ მეფის მოადგილის სასახლეზე იერიშებით წას ვლას. ჯერ კიდევ მარტში მისული სთხოვდა სამხედრო სამინისტროს საკმაო ჯარი გამოეგზავნა დუბლინში, მაგრამ ჯონ ფრენჩმა უარი შემოუთვალა. ამბოხება წესით იყო მომზადებული, მაგრამ სინფეინერებს არ აუსრულდათ ის იმედები, რასაც იგინი გერმანელებზედ ამყარებდნენ.

# თბილ. თ-დ-აზნ. ბანკის რწმუნებულთა კრება

22 მაისი.

კრება ნაშუადღევის 12 საათზე გახსნა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. ზურაბიშვილმა, 53 რწმუნებულის თანადასწრებით. ბ-ონ ზურაბიშვილის წინადადებით კრების თავმჯდომარეთ ერთხმად ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძეს ირჩევენ, მდივნად თ-დ კ. პ. თუმანიშვილს. მდივანმა მოახსენა კრებას ბანკის ანგარიში 1915 წლისა. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს ბანკს 1915 წელს გძელ ვადიანი სესხი ქალაქის უძრავ მამულებზე გაუცია 2498900 მანეთისა; ხოლო სოფლის მამულებზე—422700 მანეთისა; გადუხდიათ ორთავე ხარისხის სესხი 1998168 მანათისა. მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის დარჩენილა გრძელ ვადიანი სესხი 53228681 მან. 89 კაპ. (ამ ჯამში ქალაქის მამულებზე 44539282 მან. 98 კაპ. დანარჩენი სოფლისა) მოკლე ვადიანი სესხი ამ წლის პირველ იანვრისთვის უდრის 583136 მანეთს გადასახადის დროზე შემოუტანლობის გამო საანგარიშო წელს ბანკს 3010 მამული შეუტანია საჯარო ვაჭრობაში. ვაჭრობაში კი მოყოლილა 139 მამული. აქედან 105 მამული გაყიდულა, 24 მამული ბანკზე დარჩენილა, 10 მამული კი მეორე ვაჭრობაში დანიშნულა.

ბანკზე დარჩენილ მამულებიდან საანგარიშო წელს ბანკს გაუყიდია 29 მამული 193155 მან. 78 კ. თავნი ვალით. მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის ყოველგვარ მამულებზე, რომელიც ბანკს დარჩა, თავნი ვალი 425674 მან. 38 კ. უდრიდა.

მთელი შემოსავალი ბანკისა ყველა ოპერაციებიდან საანგარიშო წელს უდრის 924637 მან. 22 კაპ. გასავალი 342174 მან. 95 კ. ამგვარად წმინდა მოგება ბანკისა 1915 წელს უდრის 582462 მან. 27 კ. ეს მოგება შემდეგ ნაირად განაწილდა: 110285 მან. 13 კაპ. სათადარიგო თანხად გადიდო; 211022 მან. 83 კ. თბ. გუბერნიის მიწად მფლობელთა და მიწის დამმუშავებელთა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად; დანარჩენი თანხა კი გირავნობის ფურცლების გასასტუმრებლად სამეურნეო თანხისთვის, საექსტრაორდინარო თანხისთვის და გამგეობის წევრთა და ბანკის მსახურთა და სადამფასებლო კომისიის დივიდენდათ.

**თ-დ ა. ზ. ჩოლოყაშვილს** წინადადება შემოაქვს მოხსენდეს კრებას დაწვრილებით ბეიუქ-ხან მაკინელის მამულის საქმე. გაყიდულია იგი ამ ჟამად თუ არა, და თუ გაიყიდა, რა ფასში და რამდენი იზარალა ბანკმა.

**ი. ი. ზურაბიშვილი** ახსენებს კრებას, რომ ეს მამული მიმდინარე წელს გაიყიდა 17000 მანეთად და ბანკმა 9000 მანეთი იზარალა. ამ მამულის გასყიდვის თაობაზე იწყება ხანგრძლივი კამათი.

**თ-დ ა. ზ. ჩოლოყაშვილის** აზრით ამ მამულის გასყიდვაში ზოგიერთი დაუდევრობაა დაშვებული, რომელზედაც არ მოხსენდა წინანდელ საზოგადო კრებას. მაგალითად ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებაში არ იყო მოხსენებული, რომ სესხი მთლიანად მიეცა შენობის დამთავრებამდე, რომ 4000 მანეთი, რომელიც პირველად დაუჭირეს, ექვსი დღის შემდეგ კვლავ მიეცა და არა ხან-მაკინელს, არამედ ვიღაც აბაზაძეს. შენობის დასამთავრებლად დაჭერილი ფული მიეცა მაშინ, როცა შენობა არც კი იყო დამთავრებული, რაზედაც ბანკს უფლება არა ჰქონდა.

თ-დ ჩოლოყაშვილს დასაბუთებულ პასუხს აძლევენ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. ზურაბიშვილი, გამგეობის თავმჯდომარე უგან. თ-დი მ. ა. გრუზინსკი, რომელნიც უმტკიცებენ, რომ არავითარი წესდება ბანკისა ამ საქმეში არ დარღვეულა, ვინაიდან ამ მამულის გასყიდვის საქმის განხილვის დროს მონაწილეობას იღებდა თვით ფინანსთა მინისტრის რწმუნებული, რომელიც არ დაუშვებდა წესდების დარღვევას.

**გ. ბ. გვაზავა** ყველა ლაპარაკს ამ მამულის შესახებ უმნიშვნელოდა სთვლის. თავმჯდომარე სპობს ამ საკითხზე ლაპარაკს, ვინაიდან ამ კრების საგანს არ შეადგენს 1916 წლის ბანკის ზარალზე ბაასიო.

**კ. ი. თულაშვილი** საზოგადო კრების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ წესდების ძალით სამი წევრის ყოფნა გამგეობაში, მართალია კანონიერია, მაგრამ მეოთხე წევრის ნაცვლად, რომელიც ბაქოშია დანიშნული, საჭიროა კანდიდატის მოწვევაო.

**უგ. თ-დი მ. ა. გრუზინსკი** საჭიროდ არა სთვლის კანდიდატის მოწვევას, ვინაიდან ეს ხდება მაშინ, როცა ფაქტიურად გამგეობის წევრი ჩამოშორებულია ბანკის საქმეებში მონაწილეობას. მეოთხე წევრი გამგეობისა კი, რომელიც ბაქოში იმყოფება ბაქოშია და ბანკის სამსახურს ასრულებს.

**თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი** უბრუნდება ბანკის წლიურ ანგარიშს და აცხადებს უკმაყოფილებას სესხის გაცემის საკითხის არა-სასურველად დაყენების შესახებ, მეტადრე ბაქოში. ამაზე უგ. თ-დი მ. ა. გრუზინსკი უპასუხებს, რომ თ-დ ჩოლოყაშვილს ავიწყდება ბანკის ინტერესები და მხოლოდ მსესხებლის ინტერესებს ეხებაო.

**თ-დი ს. რ. ვახვახიშვილის** აზრით თუ ბაქოს განყოფილებას რამე შეფერხება მოუხდა სესხის მიცემის დროს ეს უწინდელ და არა აწინდელ ხანას ეკუთვნის ე. ი. იმ ხანას, როცა ბანკის გამგეთ თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი იყო და თან მაგალითისთვის მოჰყავს საქმე სტეფანოვებისა, რომელიც იძულებული გახდა ბაქოს საკრედიტო საზოგადოებისთვის მიემართა, როცა ბაქოს აგენტურამ ორ თვეზე ვერ შეუსრულა თხოვნა.

თავმჯდომარე საკმაოდ გამორკვეულად სთვლის ამ საკითხს რის შემდეგ კრება ამტკიცებს გასულ წლის ანგარიშს. კრება იმავე დღის საღამოსთვის გადიდო.

საღამოს კრებას 46 რწმუნებულის თანადასწრებით ხსნის თავმჯდომარე. დილინდელ ოქმის წაკითხვის შემდეგ კრებას ხსენდება ბანკის სამოსამართლო საქმეების ანგარიში 1915 წელს.

**თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი** კითხულობს რატომ გამგეობამ 1912 წლიდან არ მოსთხოვა მოვალეებს მათზე დარჩენილი ვალი, მაშინ როცა რამდენიმე წლის წინად უკვე გამოირკვა ამ ვალებზე ბანკის უფლებაო?

**თ-დი ს. რ. ვახვახიშვილი** უპასუხებს რომ ყოფილ ბაქოელ აგენტურის აგენტის წყალობითაო. გამგეობამ არა ერთხელ გააფთხილა ეს აგენტი მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქციაო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ რომელშიც მონაწილეობას იღებენ ვ. დ. დემიდოვი და სხვ. კრება მხედველობაში იღებს ბანკის სამოსამართლო საქმეების ანგარიშს 1915 წლისას.

შემდეგ ზედამხედველ კომიტეტის 1915 წ. ანგარიში ხსენდება კრებას. ზედამხედველი კომიტეტი ფიქრობს დააწესოს ახალი საკანტროლო ორგანო ბანკის სესხის გაცემის ოპერაციების შესახებ.

**თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი** ამ საკითხის ფართედ დაყენებას თხოულობს. სახელდობრ მათი აზრით საჭიროა აღიძრას საკითხი საზოგადოდ კანტროლის შემოღებისა გამგეობაზე და თვით ზედამხედველ კომიტეტზე საზოგადო კრების მხრიდან.

თ-დი ჩოლოყაშვილის წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს კრცელ სიტყვებით თ-დ ი. დ. აბხაზმა, ა. ი. კობიაშვილმა. ირ. რამიშვილმა, გ. ბ. გვაზავამ, ი. ი. ზურაბიშვილმა და თვით უგ. თ-დმა მ. ა. გრუზინსკიმ. თავმჯდომარე საქმეს გამორკვეულადა რაცხს და სიტყვის ნებას აღარავის აძლევს.

შემდეგ კრებას უკითხავს მდივანი მოხსენებას ერთდროულ გადასახადის შეცვლას $1^1/_4\%$-ამდე, თანახმად § 28 წესდებისა.

**თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი** წინააღმდეგია ამ გადასახადის გადიდებისა. თ-დ დ. ა. გურამიშვილს არ აკმაყოფილებს გამგეობის და ზედამ. კომიტეტის მოხსენება. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ გამგეობის თავმჯდომარე უგ. თ-დი მ. ა. გრუზინსკი, ა. ი. კობიაშვილი, გ. ბ. გვაზავა, ვ. ა. დემიდოვი, მ. ვ. მაჩაბელი. თავმჯდომარე სპობს კამათს და ამ საკითხს კენჭს უყრის, რომლის შემდეგ ირკვევა რომ გამგეობის წინადადება წესდების § 29 შეცვლის შესახებ იმ სახით რომ ერთდროული გადასახადი გადიდებულ იქმნეს $1^1/_4\%$-ით კრებამ უარჰყო. კრება ამის შემდეგ მეორე დღისთვის გადიდო.

23 მაისი.

წინანდელ კრების ოქმის წაკითხვისა დი დამტკიცების შემდეგ კრებას ხსენდება მოხსენება გამგეობის და ზ. კომიტეტისა წესდების § 100 შეცვლის შესახებ. და აგრეთვე ცალკე აზრი ა. ი. კობიაშვილისა, ზ. კომიტეტის წევრისა თავმჯდომარის წინადაბით კრებამ დაადგინა ეს საკითხი მოხსნილ იქმნეს განხილვისაგან და დარჩეს ისე როგორც წინანდელმა კრებამ დაადგინა.

შემდეგ კრებას მოხსენდა 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვა. ზ. კომიტეტის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქმნა 720 მანეთი მეტი ვიდრე წინა წელს მდივნისთვის. გამგეობის ხარჯთ აღრიცხვაში ა. ზ. ჩოლოყაშვილს წინადადება შეაქვს 1000 მანეთით ჯამაგირის შემცირება თითო წევრს, რასაც კრება უარჰყოფს. მიღებულ იქმნა დამფასებელ კომიტეტის და სხვა ნაწილების ხარჯთ აღრიცხვა. კრებამ უარჰყო წინადადება ე. ს. თაყაიშვილისა ი. ი. რამიშვილისა ბაქოს აგენტის რწმუნებულობაზე თანხის შემცირება 1000 მანეთით.

ამნაირად გარდა იმ დახმარებისა რომელიც მიეცათ ბანკის მოსამსახურეთ ომიანობის დროს სიძვირისა გამო საზოგადო კრებამ გაიღო: 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვით:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| ზედამხედველ კომიტეტს | 8500 | 00 |
| გამგეობას | 21000 | 00 |
| დამფასებელ კომისიას | 30680 | 00 |
| ბუხგალტერიას | 24980 | 00 |
| საობლიგაციო ნაწილს | 3240 | 00 |
| კასას | 2860 | 00 |
| კანცელარიას | 24290 | 00 |
| სამოსამართლო ნაწილს | 3600 | 00 |
| ფინანსთა მინისტრის განკარგულებით | 4000 | 00 |
| პენსია და „პასობია“ | 23929 | 10 |
| საზოგადო ხარჯები | 5500 | 00 |
| ქირა შენობისა დ შენახვა | 9815 | 00 |
| მსახურთა შენახვა | 16074 | 00 |
| მოულოდნელი ხარჯი | 9244 | 00 |
| ბაქოს აგენტურა | 13995 | 00 |
| სულ კი | 201707 | 10 |

შემდეგ სახარჯთაღრიცხვო განხილვა გადიდო საღამოსთვის. თავმჯდომარემ გამოაცხადა რომ ამავე საღამოს მიხდება არჩევნებიო.

(დასასრული იქნება)

# ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო

**სამძიმრის წერილი**

**ს. სადმელი.** (რაჭის მაზრა). დღეს აქვითინებულ ქართველ ერთან ჩვენც ვგლოვობთ, საქართველოსავით ცხოვრებისაგან დატანჯულ ირ. ევდოშვილის უდროოდ დაკარგვას. ვგლოვობთ ჩვენს უკანასკნელ იმედს, რომელიც გამოგვაცალა ხელიდან ულმობელმა სიკვდილმა და მუხლს ვიდრეკთ მის ცხედრის წინაშე...

განისვენე ტკბილად გაჭირვებულთა მეგობარო ჭირს და ლხინში და ტვირთ მძიმეთა მაშვრალთა მხსნელო. ჩვენ კი დაობლებული მსმენელი შენი, ხან სევდებისა და ხან იმედის მომგვრელ სიმღერისა, ველდებით შენი ანდერძის განხორციელებას.

*მელქისედეკ კობახიძე,*
*პანტ. შარაბიძე.*

—

**აჭარა, (ს. ხულო)** 8 მაის ადგილობრივ ინტელიგენციისა და ქართველმაჰმადიანების თანადასწრებით გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ჩვენი უდროოთ დაკარგული მგოსნის ირ. ევდოშვილის სულის მოსახსენებლად.

*გ. კაჭახიძე*

—

**შემოწირულება**

(ჩრდილოეთის ასპარეზიდან იროდიონ ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ):

მიხეილ მერაბაშვილი, იასონ გამეზარდაშვილი, ლადო მჭედლიშვილი, ათ-ათი შაური. თომა ჩაბრავა, მიხეილ თეთრაძე ორ-ორი აბაზი. კოლა აბუთაძე 30 კ. გიორგი ეგძვერაძე, ილია აბულაძე, ალექსი მჭედლიშვილი, მელიტონ ლობჯანიძე, ილია პაპოაშვილი, მინა დათეშიძე, მიხა მამუკელაშვილი, კოლა ქურხული, გიორგი არაბული, ივანე ქავთუაშვილი, სტეფანე ზურიკაშვილი, დავით ჯანჯღავა, ლაზარე ფიფია, კონდრატი ბარკაია, თომა ჩიკაიძე, გიორგი გორგიშვილი თითო აბაზი. გიორგი ბატკოაშვილი, მაქსიმე მგალიშვილი ორ-ორი შაური.

ჩვენ ზემოთ ხელის მომწერნი, პირველ კავკასიის დივიზიის სანიტარულ რაზმის ჯარისკაცნი, დაღონებულნი სამშობლოს დანაკლისით—იროდიონ ევდოშვილის უდროოდ გარდაცვალებით. უერთდებით შეგნებულ საქართველოს გლოვას და ვუგზავნით მგოსნის უმწეოდ დარჩენილ ცოლ-შვილს ჩვენი ღარიბი ჯიბიდან, ჩვენს პატარა წვლილს, რადგან ვიცით ქართული ანდაზა რომ „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

# გურიის ავ-კარგი

**სანოვაგისა და სხვა საქონლის ნიმუშები პროვინციაში.**

დღეს მთელი ქვეყანა იმ აუტანელ სიძვირეზე ლაპარაკობს, რომელიც შედეგად მოჰყვა თანამედროვე საშინელ სისხლის ღვრას და რომელიც მთელი მისი სიმძიმით უფრო საგრძნობი შეიქნა სოფლის გლეხისა, ქალაქის მშრომელი ხალხის და საზოგადო ხელმოკლე მცხოვრებისთვის.

შეძლებულნი და ვაჭარ-მრეწველნი ისე მწვავედ არა გრძობენ ამ მოვლენას, როგორც ზევით ჩამოთვლილი წრის წევრები, რადგან პირველთ წინადაც და ახლაც ხელს უწყობდა და უწყობს მათი ქონებრივი უზრუნველი მდგომარეობა და მეორეთ კი, რო დესაც შეხედეს, რომ საქონელი გაძვირდა ბაზარზე, მათაც, რა თქმა უნდა, ასწიეს საკუთარ საქონელ-ნაწარმოების ფასი და ამით აინაზღაურეს ის დანაკლისი, რაც მათ „ზურგზე ააფცქვნა“ მისმავე კოლეგა ვაჭარ-მრეწველმა.

თითქმის ყველა დიდ და პაწია დაბა-ქალაქების თვითმართველობებთან და დამოუკიდებლად სდგება კომიტეტები, რომელთაც უნდა იზრუნონ საქონლის და განსაკუთრებით პირველი მოთხოვნილების საჭირო საგნების შემოტანაზე, მათი ფასების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაზე, რომ ცოტათიც არის შეუმსუბუქონ მცხოვრებთ უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ ასეთი კომიტეტის მიერ მიღებული ზომები პალიატიური აღმოჩდა და იშვიათად აღწევს მიზანს, მიუხედავად მთავრობის დახმარებისა—პირველ მოთხოვნილების საჭირო საგნების ფასები დღითი-დღე იზრდება.

სიძვირეს კიდევ არაფრად ჩააგდებდა კაცი, რომ მუდმივად იშოვებოდეს საქონელი, შეუწყვეტლად მოდიოდეს, მაგრამ ვინ არ იცის ჩვენ რკინის გზებზე გამეფებული „წესები“ და, ამ მხრით, დიდრონი ქალაქები შედარებით უფრო უზრუნველყოფილნი არიან, რადგან ყველგან ანგარიშს უწევენ მათ ხმას; ხოლო, რაც შეეხება შორეულ და მოწყვეტილ პროვინციის უმნიშვნელო დაბა-ქალაქებს, პირდაპირ აუტანელია მათი მდგომარეობა. ასეთი პროვინციის მცხოვრებთა ბედ-იღბალი დამოკიდებულია, რომელიმე ადგილობრივ ვაჭრის ნება-სურვილზე, რომელიც ძლიერ ხშირად ბოროტად სარგებლობს თავისი მდგომარეობით. გარდა იმისა, რომ საზღაპრო ფასებში ჰყიდის საქონელს, ერთ მშვენიერ დღეს გამოდგება და აცხადებს: „ესა და ეს საქონელი სულ აღარ იშოვებაო!“ მაგალ. თუნდ პურის ფქვილი და შეიქნება ერთ ორომ ტრიალი დაბაში, ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი; აუარებელი ხალხი აწყდება მეპურემედუქნეთ, მაგრამ ამაოდ: პურის ფქვილი იმიტომ არ იშოვება, რომ მთავრობამ მოსთხოვა ვაჭარს ფქვილის ნიხრზე გაყიდვა და ვაჭარს კი ხელს არ აძლევს „ზარალით“ ვაჭრობა; ასევე იქცევიან მეპურე-მეფურნეებიც მათ რომ ძვირად იყიდონ ფქვილი, დაწესებულ ნიხრზე ვერ გაჰყიდიან გამომცხვარ პურს და რჩეობენ სულ შეაჩერონ პურის გამოცხობა; მოუმატებენ თუ არა ნიხრს და იმ წამსვე ფქვილიც გაჩნდება ქალაქში და გამომცხვარიც. ამის რამდენიმე მაგალითი ოზურგეთშიც მოხდა,

საკვირველი ის არის, რომ ასეთი მოვლენა სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც კითხვა პირველი მოთხოვნილების საჭირო საგნებს შეეხება, როგორიც არის ფქვილი, პური, შაქარი, სარეცხის საპონი და სხვ... თორემ ე. წ. ფუფუნების საგნები ყოველთვის არამც თუ სამყოფი, ზემდეტიც იშოვება.

ხსენებული კომიტეტის დაარსებით რომ ვერა გააწყვეს-რა, ახლა სხვა იარაღით დაუწყეს ბრძოლა ვაჭარსპეკულიანტებს და რამდენიმედ კიდეც მიაღწიეს მიზანს—ასეთი საშუალებაა კოოპერატივები, რომელნიც თავგამოდებული ებრძვიან მათ და რამდენადაც ფინანსაურად ძლიერია კოოპერატივი, იმდენად ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა, იმდენად მეტ ანგარიშს უწევენ მას ვაჭრები და აკი ამიტომაც შეიგნო ჩვენმა ხალხმა კოოპერატივის მნიშვნელობა და გაბედული ნაბიჯი გადადგა ამ გზაზე: მრავლად აარსებენ მათ არამც თუ ქალაქებში სოფლადაც კი.

თუ რამდენად გაძვირდა პირველ მოთხოვნილების საჭირო საგნები, ქვემო მოყვანილი ცხრილიდან დაინახავს მკითხველი, რომელიც ქ. ოზურგეთში შევკრიბე:

| საქონელი. | | ფასი ომამდე (მ. კ.) | ფასი ომიან. დროს (მ. კ.) | კოოპერატივის ფასი (მ. კ.) |
|---|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური I ხარისხ. | 1 გირ. | —4 | —8,5 | —7,5 |
| „ „ II „ | 1 „ | —3 | —7,5 | —6,5 |
| შაქარი | 1 „ | 16—17 | 26—30 | 22—25 |
| შაქრის ფხვნილი | 1 „ | 13—14 | 25—27 | 18—20 |
| პურის ფქვილი № 4 | 5 ფუთ. ტომარა. | 9—50 | 19—00 | 18—00 |
| „ „ „ 5 | 5 „ „ | 9—25 | 18—75 | 17—75 |
| „ „ „ 6 | 5 „ „ | 8—75 | 18—25 | 17—25 |
| „ „ „ 7 | 5 „ „ | 7—75 | 17—75 | 16—75 |
| ქართოფილი | 1 ფუთი. | 00—70 | 1—80 | — |
| კომბოსტო | 1 „ | 00—50 | 1—80 | — |
| ბრინჯი | 1 გირ. | 00—10 | 27—30 | — |
| ხორცი ძროხის | 1 „ | 12—15 | 35—40 | — |
| სარეცხის საპონი | 1 „ | 12—13 | 35—40 | — |
| ნავთი | 1 ფუთი. | 1—75 | 2—40 | — |
| შეშა | 1 ოთხ-კ. საჟ. | 20—00 | 40—00 | — |
| ყველი ადგილობრივი | 1 გირ. | 25—30 | 50—80 | — |
| ნიგოზი | 1 „ | 25—30 | 75—80 | — |
| ხახვი *) | 1 „ | 25—3 | 9—15 | — |

ზოგიერთმა კი იმდენი გულმოდგინება გამოიჩინეს, რომ სოფლიდან შემოტანილ სანოვაგეზე მოინდომეს ნიხრის დაწესება, რომ ორნაირად გაყვლეფილიყო სოფლის მშრომელი გლეხობა: ნახევარ ფასად გაეყიდა წვითა და დაგვით მონაგარი სარჩო და ერთი-ორად ზედმეტი გადაეხადა მისთვის საჭირო საქონელში.

**გ. ჯავახი.**

*) იყო შემთხვევები, რომ აღნიშნული საქონელი უფრო მეტ ფასში იყიდებოდა.

# თეატრი და ხელოვნება

**ნაძალადევი.** 22 მაისს, ნაძალადევის თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო. გრ. ხერხეულიძემ წაიკითხა ლექცია: „ილია ჭავჭავაძის სულიერი დრამა“. ლექცია შინაარსიანი იყო. გამოცხადებული იყვნენ ახალგაზრდა მგოსნები: ახოსპირელი, კიკნაფშაველი, ფაშალიშვილი, ლეონიძე და მჭედლიშვილი. კიკნა-ფშაველის მეტი არავინ გამოცხადდა, რომელმაც საკუთარი ლექსი წაიკითხა. დამსწრეთ ტაშის ცემით დააჯილდოვეს. სცენის მოყვარეთ ითამაშეს ერისთავის კომედია, „უჩინ-მაჩინის“ ქუდი. კომედიამ სუსტად ჩაიარა. ძაძამიამ ბევრი აცინა საზოგადოება საკუთარი სცენების წაკითხვით. შემოსავალი აჭარელთა სასარგებლოდ იყო. 10 მანეთამდე დარჩა. გადაეცემა ვისაც ჯერ არს.

ბ.

**შემოწირულება**

ნაცვლად გვირგვინისა, რომლითაც უნდა შეგვემკო კუბო ტრაგიკულად ახლად გარდაცვალებულის დაუვიწყარი ჩვენი დის მარიამ გიორგის ასულის ქავჟარაძისა, ვარდგენთ ამასთანავე 25 მანეთს და ვსთხოვთ უმორჩილესად პატივცემულ რედაქციას გადასცეს, სადაც ჯერ არს, ამ ფულიდგან 15 მანეთი აჭარლების სასარგებლოდ, ხოლო 10 მანეთი ოზურგეთში კვირიკეთის საზოგადოების უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

კნეინა ელისაბედ ანდრონიკაშვილისა და დეკანოზები ნიკოლოზ და ვასილ ნათიძეები.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**


# სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—9)

# ქ. ზქოში
# ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო წყალი** და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათროულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეძვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.